30/05/2025

MES 8 25 0000601487

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 15 მაისს 11:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

***პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:***

**ელენე კაკაბაძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
**ხათუნა ჩხარტიშვილი** - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
**ნათია ბუთხუზი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
**გიორგი ვეკუა** - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
**დავით ჯინჭარაძე** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;
**ანა აროშიძე** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი / საბჭოს წევრი;
**ეკატერინე გიგაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
**გოჩა გოგიტიძე** - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
**გოგიტა მშვენიერაძე** - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი.

***სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:***

**ქეთევან ციხისელი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
**ნინო ხელაძე -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ლონდა მინდიაშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**სოფიკო ბექირაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

***საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:***

- ქეთევან ჯანელიძე
- ზაირა ზერიძე
- ბექარ კილასონია
- თამილა გრძელიშვილი
- ნანა ვერულაშვილი
- ხათუნა წერეთელი
- გიული გურგენიძე
- ქეთევან ბოტკოველი
- დავით კუპატაძე
- ქეთევან ღვანიძე
- მედეა ზურაბიშვილი
- გიორგი ნაჭყეპია
- ქეთევან ჭუჭულაშვილი
- მანანა მახარაშვილი
- მაია ომიაძე
- მანანა მოისწრაფიშვილი
- დემიდ ფასიეშვილი

***საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:***

**შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA**
დირექტორი - ჟუჟუნა ზოიძე;
ხარისხის მართვის მენეჯერი - თეონა კალანდაძე.

**შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი**
დირექტორი - ლიამან ბაირამოვა;
დირექტორის მოადგილე (სასწავლო დარგში) - ირმა ლომაია;
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - საბინა კაზიმოვი.

**ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“**
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - თამთა კვინიკაძე;

ხარისხის მართვის მენეჯერი - ელისო ჯიქიძე.

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 11:00 საათი.**

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**დღის წესრიგი:**
1. შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA – ის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2"-ის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

**პირველი საკითხი:** შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA – ის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 19 თებერვლის ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი 18,19,20 მარტს შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA - ში (მის: საქართველო, ქ. ბათუმი, ალ. გრიბოედოვის 67) და შეაფასა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების დირექტორთან. ჩატარდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და სხვა ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამებთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო/ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. ასევე შემოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკა და ჯგუფი გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. განხორციელდა ვიზიტი პროგრამების პრაქტიკის ობიექტებზე. კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

**საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

კოლეჯში არსებობს წარმატებული პრაქტიკა პროფესიული პროფორიენტაციის მიმართულებით. კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს პროფესიული პროფორიენტაციის აქტივობებს სკოლებში და პროცესშია აქტიურად რთავს საკუთარ სტუდენტებს/ კურსდამთავრებულებს. სტუდენტების/კურსდამთავრებულების უშუალო მონაწილეობა პროფორიენტაციის პროცესში აუმჯობესებს კომუნიკაციას მოსწავლეებთან, ზრდის პროფესიული განათლების მიმართ ინტერესს, სანდოობას და აყალიბებს კოლეჯის თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ იმიჯს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს როგორც კოლეჯის ცნობადობის ზრდას რეგიონში, ასევე სკოლის მოსწავლეებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს კოლეჯის პოზიტიურ მხარეს, რის გამოც ექსპერტებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ ეს ასპექტი გამოიკვეთოს როგორც საუკეთესო პრაქტიკა.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები.

**განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

**5.2.3.3** ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია: მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯი ახორციელებს გარკვეულ საიმიჯო და ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს, სასურველია, დაწესებულებამ დაგეგმოს უფრო მასშტაბური საინფორმაციო და საიმიჯო კამპანია ცნობადობის გაზრდის მიზნით. და რეგიონში არსებული კონკურენციის პირობებში კოლეჯის ძლიერ მხარეთა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების წარმოსაჩენად. რეგიონის პროფესიულ საგანმანათლებლო ბაზარზე აქტიურად მოქმედებენ სხვა კოლეჯები და საგანმანათლებლო დაწესებულებები, რაც ზრდის საჭიროებას, რომ კოლეჯმა უფრო ინტენსიურად იმუშაოს საკუთარი იმიჯისა და შეთავაზებების კომუნიკაციაზე. მიზანშეწონილია სისტემურად გაიმართოს სხვადასხვა უფრო მასშტაბური ღონისძიებები, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთობლივი ღონისძიებები, ასევე გაძლიერდეს მედიასთან და სოციალურ ქსელებთან თანამშრომლობა. არსებული წარმატებული პრაქტიკების შენარჩუნების პარალელურად, კიდევ უფრო გააძლიეროს ცნობადობის ამაღლებისა და იმიჯის განმტკიცების ღონისძიებები, გააფართოოს პარტნიორული თანამშრომლობები და გააძლიეროს კომუნიკაცია როგორც რეგიონულ, ასევე ეროვნულ დონეზე, კონკურენტუნარიანობისა და განვითარების ხელშესაწყობად. ასეთი ნაბიჯები გააუმჯობესებს კოლეჯის პოზიციონირებას როგორც რეგიონულ დონეზე, ასევე ეროვნულ დონეზეც და ხელს შეუწყობს სტუდენტთა მოზიდვასა და კოლეჯის განვითარებას.

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. დაწესებულება ახორციელებს სხვადასხვა პროფილის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორიცაა, მაგალითად: საექთნო განათლება, აღმზრდელი, ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა. პროგრამების დამატება ხდება რეგიონის შრომის ბაზრის კვლევის შესაბამისად. პროფესიული პროგრამების ფარგლებში, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორთან რეგიონში. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები, ასევე, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. კერძოდ: კოლეჯში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვასა და შესაბამისი გარანტიების უზრუნველყოფას. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით. პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. BPA-ს აკადემიური პროცესების გაუმჯობესებისთვის შემუშავებული სისტემები და მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სრულ უფლებას მიიღონ სათანადო კონსულტაციები და დახმარება აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით რეგულირდება. კოლეჯის სტრუქტურა ეფუძნება საქმიანობის ფუნქციონალურ და იერარქიულ დაყოფას, რაც უზრუნველყოფს მმართველობითი პროცესების ეფექტიანობას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და ინსტიტუციური განვითარების მდგრადობას.

**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ვიზიტის

ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადასტურდა, რომ შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანი განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ინფრასტრუქტურის აღწერა დადასტურებულია დოკუმენტურად – წარმოდგენილია უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, ფოტომასალა და შენობების დეტალური პასპორტები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მრავალფეროვანი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. კოლეჯში მოქმედებს 2020 წლის 08 ივლისის შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის ბრძანებით N 01-23 დამტკიცებული შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, შენობა აღჭურვილია შრომის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და მექანიზმებით, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. კოლეჯი სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში, შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიის ბაზის შეფასების მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დაცვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეუფერხებელი მიღწევისა და ადმინისტრაციის მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფა. დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საგანმანათლებლო პროცესების მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) რისკების მართვა განსაზღვრულია როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა, რაც უზრუნველყოფს კოლეჯის ფუნქციონირების უწყვეტობასა და დაცულობას. პროფესიული სწავლებისთვის და მართვისთვის განკუთვნილ ფართში კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომლებიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკით. კოლეჯის ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში, სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერები, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ბიუჯეტი, რომლის ანალიზის მიხედვით დასტურდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. აღნიშნულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია გეგმების ამოცანებისა და პროფესიული პროგრამების განხორციელება-განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი დაფინანსება. კოლეჯის პროგრამების განხორციელება ხორციელდება ვაუჩერული და სტუდენტთა მიერ შემოტანილი სწავლის საფასურის სახით. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისგან. ბიუჯეტი ხარჯების ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შრომის ანაზღაურების, საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების შესახებ. დაწესებულებაში სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულნი

არიან დაწესებულების საფინანსო მიმართულებით პასუხისმგებელი პირები. პროფესიული განათლების განვითარებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ გეგმაში მითითებულია დასახული მიზნებისა და ამოცანებისათვის საჭირო კონკრეტული ფინანსური რესურსი. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ხელმძღვანელობასა და ფინანსურ მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, რის შედეგადაც დადასტურდა გამოყოფილი თანხების საკმარისობა დაგეგმილი აქტივობებისა და სამუშაოების წარმართვისთვის.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“**

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სრულად ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას. კოლეჯის მისია გულისხმობს კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა პირდაპირ ასახავს ამ მიზანს, რადგან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტების მომზადება ხელს უწყობს დასაქმებას და პროფესიული განვითარების გაგრძელებას. მისია ასევე ხაზს უსვამს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ჩართულობას, რაც უზრუნველყოფილია თანაბარი შესაძლებლობების პრინციპით. ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე "ბუღალტრული აღრიცხვა" მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B გარემოები. A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ 20 (ორ ცვლაში 40) პროფესიული სტუდენტზე. ორივე გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 20 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) (ორ ცვლაში 40) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. კომპიუტერებში ჩატვირთულია საბუღალტრო პროგრამა (ORIS). პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის“ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, ეპიდემიის/ პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებულად, რაც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და

გათვლილ იქნა კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. ამავე წესით რეგულირდება ფორს - მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდ. გეგმების შემუშავების საკითხიც. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება სრულად არის შესაძლებელი კოლეჯის ბაზაზე. შესაბამისად კოლეჯს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არ ყავს პრაქტიკის ობიექტი. კოლეჯს საკუთარ ბაზაზე აქვს უზრუნველყოფილი პროგრამა სრულად ყველა საჭირო რესურსით. შესაბამისად, დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ დგას.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“**

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. "საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. ასევე, აღსანიშნავია რომ კოლეჯი ამ პროგრამას უკვე რამდენიმე წელია, რაც ახორციელებს და შეიძლება ითქვას უკვე აქვს გამოცდილება პროგრამაზე რესურსების განსაზღვრისა და გამოყენების. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B გარემოები. A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია პროგრამის "საფინანსო სერვისების" 24 პროფესიული სტუდენტზე. ორივე გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 24 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. კომპიუტერებში ჩატვირთულია შესაბამისი პროგრამა ალტას დემო ვერსია, რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს „ბაზის ბანკთან", მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელთან" და შპს „ბაკურიძე და კომპანიასთან". წარმოდგენილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს კვოტას 24 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენებას სწავლის შედეგების მისაღწევად. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ალტას სატესტო პროგრამაში მუშაობის ფაქტები, მოდულის სწავლების დროს სწავლის შედეგების მიხედვით იყენებდნენ სხვადასხვა მატერიალურ რესურს ( ფულის ამომცნობ დეტექტორს, ფულის სათვლელ მანქანას, საინკასაციო ჩანთას, ფულის მულაჟებს, შესაფუთ და დასალუქ საშუალებებს, ბეჭდებს/შტამპებს, და ა.შ.). პრაქტიკის ობიექტზე ბანკში ახდენდნენ სხვადასხვა საბანკო ოპერაციების განხორციელებას,: მომხმარებლის მიღებას/გადამისამართებას; ანგარიშის გახსნას; გზავნილის მიღება/გაცემას; საკრედიტო ოფიცერთან ერთად სესხის შეფასებას და სხვა. სავაჭრო ობიექტზე მომხმარებლის მიღებას; ფასების კონტროლს; კონსულტაციის გაწევა და სხვა. პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის No416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ამ შესაბამისობის დადგენისთვის ასევე კოლეჯის მხრიდან წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, კითხვარი და დადგენილების მოთხოვნის მიხედვით შემუშავებული წესი. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული

საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 11 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“**

ექსპერტის განცხადებით, წარმოდგენილია შრომის ბაზრის კვლევების მონაცემებზე დაფუძნებული დასაბუთება, რაც ცხადყოფს, რომ პროგრამის განხორციელება არა მხოლოდ კოლეჯის პრიორიტეტებს, არამედ რეგიონულ და ეროვნულ საჭიროებებსაც პასუხობს. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. “ფარმაცია (სააფთიაქოს)” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. ასევე, აღსანიშნავია რომ კოლეჯი ამ პროგრამას უკვე 20 წელია, რაც ახორციელებს და შეიძლება ითქვას უკვე აქვს გამოცდილება პროგრამაზე რესურსების განსაზღვრისა და გამოყენების. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A(აუდიტ.17), AC ( აუდიტ.15 და 18)და B გარემოები(ორი გარემო). A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია პროგრამის “ფარმაცია (სააფთიაქოს)” 20 პროფესიული სტუდენტზე. ორივე გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 20 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო გარემოს მოდელი AC გარემო - ქიმიურ-სააფთიაქო-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ბლოკი - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის. სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო , რომელშიც განთავსებულია 21 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ფარმაცია (სააფთიაქოს)” მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია(სააფთიაქო)“ განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან, სამ ფარმაცევტულ დაწესებულებასთან „ბაკურიძე და კომპანია „ს/კ: 245424303 (ხელშეკრულება 03-29 05 დეკემბერი 2024 წ.) 40 პროფესიულ სტუდენტზე ; შპს “ჰეკატე“ 03-14 (12 ფილიალი) ს/კ: 245436096 ( ხელშეკრულება 03-27 04 დეკემბერი 2024 წ) 40 პროფესიულ სტუდენტზე; შპს „ავერსი–ფარმა“ ს/კ: 211386695 ( ხელშეკრულება)N03-28 04 დეკემბერი 2024 წ.) 40 პროფესიულ სტუდენტზე, რომლებსაც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის 8

მოდულის ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა, ასევე, მათში მითითებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათები და სხვა ინფორმაცია, რომლებიც ადასტურებს, რომ საერთო ჯამში ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფილია 20-20 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე მოდულების გავლა. პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის No416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ამ შესაბამისობის დადგენისთვის ასევე კოლეჯის მხრიდან წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, კითხვარი და დადგენილების მოთხოვნის მიხედვით შემუშავებული წესი. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 40 პროფესიული სტუდენტისთვის თითო ჯგუფში 20-20 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ დგას.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“**

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B გარემოები. A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია პროგრამის ,,აღმზრდელი“ 20 (ორ ცვლაში 40) პროფესიული სტუდენტზე. ორივე გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 20 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) (ორ ცვლაში 40) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. თვითშეფასების დოკუმენტში დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა პროგრამაზე ზღვრული რაოდენობა 40, პარტნიორი ორგანიზაციასთან (ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება) გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია აღნიშნული კვოტა 40 სტუდენტი ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა აღნიშნულ მოცემულობას. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებში მოდულის სწავლების დროს სწავლის შედეგების მიხედვით იყენებდნენ მატერიალურ რესურს. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 10 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება 2024 წლის 04 დეკემბერს გაფორმებული N03–26 ხელშეკრულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ მოდულების განხორციელების შესახებ. საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ერთ პარტნიორ ორგანიზაციასთან – „ააიპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება". რომლის მეშვეობითაც, პარტნიორი ორგანიზაციის დაწესებულებების (საბავშვო ბაგა-ბაღები) ბაზაზე განხორციელდება პროგრამით გათვალისწინებული მოდული ,,პრაქტიკული პროექტი– სკოლამდელი აღზრდა და განათლება" და მოდულის ,,დაკვირვება და შეფასება – სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში" II,III,IV შედეგი. ,პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ერთ მიღებაზე არაუმეტეს 40 სტუდენტისა. ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა ა(ა)იპ ,,ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების" სტრუქტურული ერთეულის ქ. ბათუმის N35 საბავშვო ბაღის ბაზაზე, სადაც დაწესებულების ინფრასტრუქტურა, შექმნილი სააღმზრდელო–საგანმანათლებლო გარემო, სტუდენტებისათვის თეორიული მასალის გაზიარებისთვის განკუთვნილი სივრცე, ადრეულ და სკოლამდელ აღზრდაში არსებული თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა და რაოდენობა, სასწავლო–საგანმანათლებლო რესურსის და კვალიფიციური კადრის არსებობა დადასტურებულად იძლევა კოლეჯთან კონსტრუქციული თანამშრომლობის და მოდულების ,,პრაქტიკული პროექტი– სკოლამდელი აღზრდა და განათლება" და მოდულის ,,დაკვირვება და შეფასება – სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში" II,III,IV შედეგების პროფესიონალურ დონეზე სწავლების საშუალებას. პარტნიორის წარმომადგენელმა დაადასტურა კოლეჯთან კონსტრუქციული თანამშრომლობა, მათ უკვე რამდენიმეწლიანი თანამშრომლობა აქვთ და ყველა მნიშვნელოვანი საკითხი დამუშავებულია, რაც უზრუნველყოფს წარმატებულ თანამშრომლობას. პარტნიორმა ისაუბრა ამ თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და ასევე აღნიშნა,, რომ უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულთა დასაქმებას. ვინაიდან პარტნიორი ორგანიზაცია წარმოადგენს გაერთიანებას, მან ზუსტად იცის ამ პროგრამის მნიშვნელობა რეგიონისათვის.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება"**

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქ ბათუმში, ალ. გრიბოედოვის 67 . პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. ორი A გარემო აღჭურვილი 20 პროფესიულ სტუდენტზე საჭირო აღჭურვილობით, ორი B გარემო და ერთი C გარემო 20 პროფესიულ სტუდენტზე აღჭურვილი გარემო. საექთნო განათლების კლინიკური მოდულები ხორციელდება კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს საშუალება მიიღოს საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ოდენობა - 60 პროფესიული სტუდენტი (ერთი სასწავლო წლისათვის ერთი ჯგუფი 20 სტუდენტი). ანუ პირველი სასწავლო და მეორე სასწავლო წლის სტუდენტები ცვლებში, ხოლო მესამე სასწავლო წელი სრულად გადის პრაქტიკის ობიექტებზე. ყველა გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 20 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძNo01-60 დამტკიცებულია ,,კოოპერაციული სწავლებისას მეწარმე სუბიექტის/იურიდიული პირის შერჩევის მეთოდოლოგია". აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად შევიდა ცვლილებები პარტნიორებთან არსებულ ხელშეკრულებებში და ახალი ხელშეკრულებებიც გაფორმდა 416-ე დადგენილების

შესაბამისად. პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამისი ლიცენზიების მქონე კლინიკებთან. წარმოდგენილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს კვოტას 60 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენებას სწავლის შედეგების მისაღწევად. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას მათ დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროცესში შეფერხების გარეშე იყენებენ მოდულების შესაბამის რესურსს. პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის No416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ამ შესაბამისობის დადგენისთვის ასევე კოლეჯის მხრიდან წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, კითხვარი და დადგენილების მოთხოვნის მიხედვით შემუშავებული წესი. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საექთნო განათლების" მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს OFEN Biblio-ს. დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება). ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 11 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლების ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ დაწესებულებებთან: შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი, სს ,,ვიანი", მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი, შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო, შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედ-ცენტრი - ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, რისთვისაც გამოყოფს ინსტრუქტორ(ებ)ს/კოორდინატორებს/განმახორციელებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას და მხარდაჭერას. ექსპერტების მიერ განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ „საექთნო განათლების" პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში - 20 პროფესიული სტუდენტი, პროგრამაზე 60 სტუდენტი). დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ დგას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა იმ ცვლილებებით, რომლებიც განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამაში „ფარმაციის (საფთიაქო)“ მიმართულებით. მან იკითხა, ხომ არ ჰქონდათ სტუდენტებს ან კოლეჯს შეფერხებები აღნიშნულ პროცესში.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ კოლეჯმა დროულად და სრულად გაანალიზა და გაატარა ცვლილებები, ასევე, დროულად იყო კომუნიკაცია სტუდენტებთანაც და არც ერთ მათგანს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება ან პრობლემის არსებობა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, აღნიშნა, რომ დასკვნაში ვერ იპოვა ჩანაწერი „საფინანსო სერვისების“ პროფესიული პროგრამის საწარმოო პრაქტიკის შესახებ, რომელიც ბერმელთან ან ბაზის ბანკთან უნდა განხორციელებულიყო. მისივე თქმით, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მხოლოდ ზოგადი სწავლების შედეგებია მოცემული და არა კონკრეტულად საწარმოო პრაქტიკის ნაწილი.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილი სწავლების შედეგები სწორედ საწარმოო პრაქტიკის ნაწილია. კერძოდ, ბერმელთან სტუდენტები გადიან ერთ-ერთ სწავლის შედეგს -მომხმარებლის მომსახურებას სავაჭრო ობიექტში, ხოლო ბერმელთან და ბაზის ბანკთან ხორციელდება საწარმოო პრაქტიკის პირველი და მეორე შედეგი.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, „აღმზრდელის“ პროფესიულ პროგრამასთან დაკავშირებით, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ როგორ ხდებოდა სტუდენტების განაწილება საბავშვო ბაღებში და არსებობდა თუ არა ამის შესახებ აღწერილობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხელშეკრულება დადებულია ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან. სტუდენტების განაწილება ხდება შეთანხმებული გეგმის მიხედვით. პრაქტიკის დაწყებამდე დაახლოებით 10 დღით ადრე კოლეჯი წერილობით მიმართავს ბათუმის ბაღების გაერთიანებას და ითხოვს პრაქტიკის შესაძლებლობას. წინა წლის მაგალითზე დაყრდნობით, ბათუმის ბაღების გაერთიანებამ გამოყო სამი ავტორიზებული საბავშვო ბაღი, სადაც თითო სტუდენტი გადანაწილდა თითო ჯგუფში. აღნიშნულ ბაღებთან დადებულია მომსახურების ხელშეკრულებები, მათ შორის მეთოდისტებთან, რომლებიც პრაქტიკის პროცესში უშუალოდ მუშაობენ სტუდენტებთან. მეთოდისტები წინასწარ გადიან ტრენინგებს და უზრუნველყოფენ ხარისხიან პრაქტიკულ სწავლას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა მათი სტრატეგიული პრიორიტეტებით მომდევნო 3-5 წლის პერიოდში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია მიღებულია და დასკვნის მიღების შემდეგ მათ დაიწყეს მისი ეტაპობრივი განხორციელება. ამჟამად მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება რამდენიმე სარეკლამო კომპანიასთანაც, რათა გაზარდონ კოლეჯის ცნობადობა საშემოდგომო მიღებისთვის, რაც წარმოადგენს დაწესებულების ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA – ის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი**:
მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA -ს (ს/კ:245445004) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA -ს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 1).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 20 ივნისი.

**მეორე საკითხი:** შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 3 თებერვლის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება შპს - მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში 2025 წლის 26, 27 და 28 თებერვალს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა ასევე შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან და კურსდამთავრებულებთან.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემული სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები.

**განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

**ინდიკატორი 1.2.1.3.** დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. კოლეჯის სამოქმედო გეგმა არ მოიცავს ინფორმაციას, მატერიალური და ფინანსური რესურსის შესახებ, რაც დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით არის განსაზღვრული., თუმცა კოლეჯს წარმოდგენილი აქვს 2025 წლის ბიუჯეტის გეგმა, რომელშიც სრულად არის აღწერილი ინფორმაცია, სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანების განსახორციელებლად განსაზღვრული აქტივობების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით, კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია. სასურველია სამოქმედო გეგმაში გაჩნდეს გრაფა, სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია, კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად განსაზღვრული ფინანსური რესურსის შესახებ.

**ინდიკატორი 4.1.1.1.** პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული; სასურველია თანამდებობრივ დებულებაში გაჩნდეს ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი თანამდებობრივი პირი, ვისთან არის ანგარიშვალდებული და რომელიმე თანამდებობრივი პირის არ ყოფნის შემთხვევაში, ვის გადაეცემა მისი უფლებამოსილება.

**ინდიკატორი 4.1.2.2.** პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. დასაქმებულებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნების საფუძველზე მათში გათვალისწინებულია ყველა არსებითი ხასიათის მოთხოვნა, გარდა ინფორმაციისა შვებულებასთან დაკავშირებით, თუმცა კოლეჯის შინაგანაწესში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, დეტალურადაა გაწერილი ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი. კოლეჯს ამ საკითხთან დაკავშირებით მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის - შრომითი ხელშეკრულების შინაარსი -თ) პუნქტის (ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი) თანახმად, დასაქმებულთა ხელშეკრულებებში, ასახოს შინაგანაწესით განსაზღვრული შვებულების მიცემის წესი და პირობები.

ექსპერტის განცხადებით, შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის მისია ორიენტირებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაზე, სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობაზე. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც დადგინდა როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემოწმებით. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას დაადასტურეს კოლეჯის პერსონალის მხარდაჭერა და ხელშეწყობა. დაწესებულებაში არსებული კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ძირითად მიზანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების დასაქმება, ამ მიზნით დაწესებულება სწავლის ყველა ეტაპზე ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებს დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, იძიებს მათ მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებს. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, რაც გაწერილია კოლეჯის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა''. პროფესიული მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის, დაწესებულებაში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ესწრება მასწავლებლებს მეცადინეობებზე, ადგენს მათ საჭიროებებს, და განსაზღვრავს საჭირო ღონისძიებებს.

**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, რაც დასტურდება ფაქტობრივი მდგომარეობის, მატერიალური ქონების ფლობის შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლით, აზომვითი ნახაზისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის გაცნობის შედეგად. ყველა სასწავლო გარემო აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის მაგიდებითა და სკამებით, დაფებით, პროექტორებით, პროფესიული მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით. AC გარემო აღჭურვილია ასევე ტექნიკური რესურსით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსით, ინტერნეტ მონიტორით. B გარემო, რომელშიც განთავსებულია შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერები. კოლეჯს საერთო ჯამში აქვს 130 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 19 ეკრანი და 19 პრინტერის აპარატი. პროფესიული სტუდენტთათვის გამოყოფილია რეკრეაციულ სივრცე. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, რაც დადასტურდა კოლეჯის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესწავლით. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის

დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის რაც ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დადასტურდა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა პროგრამისთვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი, რომელიც ბიბლიოთეკის კომპიუტერშიც და კოლეჯის ვებგვერდზეც არის ატვირთული. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, კოლეჯში ყველა დასაქმებულს, პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს გააჩნია შესაძლებლობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ჰქონდეს წვდომა კოლეჯის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებთან, რაც ასევე, შინაგანაწესით არის განსაზღვრული. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს, რაც დადასტურდა ექსპერტთა მიერ შემოწმების შედეგად. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ წარმოდგენილი 2025 წლის საპროგნოზო ბიუჯეტით, რომელიც დამტკიცებულია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“**

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს: A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 8 აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული სტუდენტებისთვის (თითოეული 25 პროფესიულ სტუდენტზე) ორი შეჭრილი ცვლის გათვალისწინებით. თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია: კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები. B სასწავლო გარემო - 3 აუდიტორია კომპიუტერული კლასი 40, 23 და 25 პროფესიულ სტუდენტზე, თითოეული შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერით, მაგიდებითა და სკამით პროფესიული სტუდენტებისთვის. თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; ქსელური პრინტერი - 1 ც; ფლეშმეხსიერება -1 ც; დაფა - 1ც. დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ქ. მარნეულის ბაგა–ბაღების გაერთიანებასა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულებებთან. ხელშეკრულების თანახმად პარტნიორი ორგანიზაციები ვალდებულებას იღებდნენ მომსახურება გაუწიონ ჯამში 705 სტუდენტს. პარტნიორ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია 6 პროფესიული მოდულის სწავლის შედეგების გატანა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ ერთ–ერთი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც მზაობა გამოთქვა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის. გაერთიანების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მისი დაწესებულების დაქვემდებარებაში სულ 12 ბაღია, რომლებშიც ფუნქციონირებს ჯამში 54 აღსაზრდელთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი და გამომდინარე აქედან, დაწესებულება თავისუფლად შეძლებს პრაქტიკით უზრუნველყოს კოლეჯის 300 სტუდენტი. პროგრამით

გათვალისწინებულია 45 დარგობრივი, 19 ზოგადი და 11 ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი პირი, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“**

ექსპერტის განცხადებით, შესაბამისად კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომლის თანახმად კოლეჯმა მოიძია რეგიონის მასშტაბით არსებული კვლევები და მათზე დაყრდნობით დაადგინა, რომ საექთნო საქმეზე მოთხოვნა შრომის ბაზარზე მაღალია (სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალზე მოდის ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტების ვაკანსიების 67% 2022 წლის კვლევა) მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს ახალი ამბულატორიების მშენებლობას, აგრეთვე იგეგმება ახლი სამედიცინო დაწესებულებების გახსნა, რაც პირდაპირ გამოიწვევს ექთნებზე მოთხოვნის ზრდას რეგიონში არსებული მოთხოვნის დამატებითი მტკიცებულებად კოლეჯმა წარმოადგინა - აპლიკანტების რაოდენობის მაჩვენებელი მარნეულის სამივე კოლეჯში, სადაც დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი ჭარბი მოთხოვნა: - საზოგადოებრივი კოლეჯი: 185% გადაჭარბება (133/72) მარნეულის კოლეჯი: 383% გადაჭარბება (88/23) - სამედიცინო კოლეჯი: 376% გადაჭარბება (79/21). მონაცემები აჩვენებს, რომ არსებობს მკაფიო და გაზომვადი მოთხოვნა საექთნო კომპეტენციებზე - მოთხოვნა სტაბილურად მზარდია - რეგიონული განვითარების გეგმები პროგნოზირებს მოთხოვნის შემდგომ ზრდას - აპლიკანტების რაოდენობა ადასტურებს პროგრამის მაღალ მოთხოვნადობას. დაწესებულებამ განახორციელა ასევე დამსაქმებელთა გამოკითხვა, რამაც დაადგინა, რომ კვლევაში მონაწილე კომპანიების 71%-მა დაასაქმა კოლეჯის კურსდამთავრებული. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის გამოყოფილი აქვს 2 AC გარემო და 4-B გარემო. დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 5 სამედიცინო კლინიკასთან: 1. შპს. „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი”, კლინიკა პრაქტიკაზე მიიღებს 265 პროფესიულ სტუდენტს 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით. ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკის ბაზაზე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. 2. შპს. „ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი” კლინიკა პრაქტიკაზე მიიღებს 265 პროფესიულ სტუდენტს 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით. ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკის ბაზაზე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. 3) შ.პ.ს

„ავერსის კლინიკა“- კლინიკა პრაქტიკაზე მიიღებს 125 პროფესიულ სტუდენტს 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით. პრაქტიკის ვადები განისაზღვრება პროფესიული პროგრამის შესაბამისად მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. აღნიშნული კლინიკის ბაზაზე იგეგმება 12 კლინიკური მოდულის განხორციელება. 4) შპს“ რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ კლინიკა პრაქტიკაზე მიიღებს საქმიანობის ნებართვის გათვალისწინებით 265 პროფესიულ სტუდენტს 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით. აღნიშნული კლინიკის ბაზაზე იგეგმება 12 კლინიკური მოდულის განხორციელება. 5) შპს „ჯეო ჰოსპიტალი“, კლინიკა პრაქტიკაზე მიიღებს საქმიანობის ნებართვის გათვალისწინებით 265 პროფესიულ სტუდენტს 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით. პრაქტიკის ობიექტზე რეალურ სამუშაო გარემოში, ინსტრუქტორები/პროფესიული განათლების მასწავლებლები (საწარმოდან და კოლეჯიდან), პრაქტიკის მოდულის სტანდარტული ჩანაწერების საფუძველზე, პრაქტიკის დაწყებამდე, პროფესიულ სტუდენტებთან ერთად ერთობლივად ადგენენ პრაქტიკის განხორციელების კალენდარულ გეგმას, რომელიც წარმოადგენს მოკლე აღწერას პრაქტიკის პროგრამისა და განხორციელების შესახებ. კალენდარული გეგმა თანხმდება და მოწმდება კოლეჯის უფლებამოსილი პირის მიერ. წარმოდგენილი კალენდარული გეგმა ისეა შედგენილი, რომ უზრუნველყოფილია მოდულის შედეგებისა და კრიტერიუმების მოთხოვნებს. ექსპერტების მიერ გადამოწმდა პრაქტიკული კომპონენტის მიმდინარეობა. გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად სხვადასხვა კლინიკაში, გამოყოფილია შვიდ პროფესიულ სტუდენტზე ერთი შესაბამისი კომპეტენციის ინსტრუქტორი, პრაქტიკის ობიექტზე მიღწეული შედეგები დადასტურებულია დაწესებულების მიერ დადგენილი წესით და გამყარებულია შესაბამისი მტკიცებულებებით. ამ ეტაპზე მოქმედი პროფესიული სტუდენტია 202 პროფესიული სტუდენტი. „საექთნო განათლების“ პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 36 პროფესიული განათლების მასწავლებელი, 5 ინსტრუქტორი, 5 ინსტრუქტორ/მასწავლებელი, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია“**

ექსპერტის განცხადებით, ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, კოლეჯმა დაადგინა, რომ არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“. მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ რეგიონულ დონეზე, ტექნოლოგიების სფეროში აქტიური ინვესტიციები და ინიციატივები მიმდინარეობს. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს: B სასწავლო გარემო - 3 აუდიტორია და C სასწავლო გარემო - 1 აუდიტორია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელების მიზნით, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 31 პროფესიული

განათლების მასწავლებელი, მათ შორის 17 პროფესიული მოდულების განმახორციელებელია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ახორციელებს კოლეჯის ბაზაზე. აღნიშნული პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან, შესაბამისად არ ჰქონდათ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენებენ დაწესებულების აუდიტორიებს, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“**

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომლის თანახმად კოლეჯმა მოიძია რეგიონის მასშტაბით არსებული კვლევები და მათზე დაყრდნობით დაადგინა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში საფინანსო სერვისების კომპეტენციის მქონე პირებზე მოთხოვნა არსებობს და მომავალში კიდევ გაიზრდება. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ საჭიროებს A, B და C სასწავლო გარემოს. შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - ოთხი აუდიტორია. სამი აუდიტორია განკუთვნილია A და B სასწავლო გარემოსთვის, ხოლო 406-ე აუდიტორია განკუთვნილია მხოლოდ A გარემოსთვის. #405 აუდიტორია აღჭურვილია 40 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია 40 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული მასწავლებლისთვის, სადაც ჩატვირთულია საბანკო პროგრამის “Alta” დემო ვერსია. #426 და #428 აუდიტორიებში შესაბამისად არის განთავსებული 22 და 23 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც ჩატვირთულია საბანკო პროგრამის “Alta” დემო ვერსია. ეს აუდიტორიები შესაბამისად აღჭურვილია 22 და 23 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 დაფა, 1 პრინტერი და 1 მონიტორი პრეზენტაციებისთვის. შემოწმდა ამ პროგრამისთვის საჭირო ინვენტარი: ფულის სათვლელი მანქანა, ყალბი ფულის ამომცნობი დეტექციის ფუნქციით. საინკასაციო ჩანთის მულაჟი, შტამპები (ნომრიანი, სახელობითი, სალარო, საოპერაციო) და სხვა. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის შეძენის და ფლობის დოკუმენტები. დაწესებულების მატერიალური რესურსი იძლევა კვოტით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მომსახურეობის შესაძლებლობას. 110 პროფესიულ სტუდენტზე 2 ცვლის/4 ჯგუფის შემთხვევაში. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, სასწავლებელს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება: სს „თიბისი ბანკთან“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დაიდო 01.08.2024 ერთი წლის ვადით. თიბისი ბანკის ფილიალებში შესაძლებელია წლის განმავლობაში ერთდროულად 110 პროფესიული სტუდენტის მიღება, წინასწარ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად. თიბისი ბანკი ვალდებულებას იღებს, გამოყოს თანამშრომელი, რომელიც იქნება სტუდენტების თანახელმძღვანელი პრაქტიკის განხორციელების პროცესში. ის გაუწევს კონტროლს და შეაფასებს სტუდენტის მიერ განხორციელებულ პრაქტიკულ საქმიანობას. „მარნეული მოლი“, რომელთანაც განახლებული ურთიერთშეთანხმების აქტი დაიდო 29.07.2024 -ში, ხოლო

მოქმედების ვადა გრძელდება კოლეჯის ავტორიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში ფილიალებში ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. „მეგა მარკეტი" რომელთანაც განახლებული ხელშეკრულება დაიდო 30.07.2024 -ში, ხოლო მოქმედების ვადა გრძელდება კოლეჯის ავტორიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში ფილიალებში ერთდროულად 110 პროფესიული სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. „საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 49 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან: ზოგადი მოდულებისთვის 37 განმახორციელებელი; პროფესიული მოდულებისთვის -12 განმახორციელებელი. მიმდინარე ეტაპზე პროფესიული მასწავლებლების კვირის დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. პროფესიული მასწავლებლების მიღების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია, დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ რამ გამოიწვია კოლეჯის მისიისა და ღირებულებების ცვლილება.

ექსპერტმა განმარტა, რომ 2019 წელს კოლეჯში დამფუძნებლების ცვლილება მოხდა, რის შედეგადაც შეიცვალა მისიაც. 2023 წელს კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება პროგრამის კვოტის გაზრდაზე, რაც სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის საფუძველი გახდა. მისია ამ ეტაპზე არ შეცვლილა, მხოლოდ სტრატეგიული გეგმა განახლდა. რაც შეეხება ღირებულებებს, ამ ნაწილში ცვლილება არ განხორციელებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს პრაქტიკის ობიექტების მზაობასთან დაკავშირებით, მოინახულა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა პრაქტიკის ობიექტები და მათი შეფასებით, შეძლებენ თუ არა ისინი დიდი რაოდენობის სტუდენტების მიღებას, განსაკუთრებით საექთნოს და აღმზრდელის პროგრამებზე.

დარგის ექსპერტმა „აღმზრდელის" პროფესიული პროგრამის კუთხით განმარტა, რომ გაფორმებულია ხელშეკრულებები მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტების ბაგა-ბაღების გაერთიანებებთან. ბოლნისში 12 ბაღია, 54 ასაკობრივი ჯგუფით, ხოლო მარნეულში დაახლოებით 30 ბაღი ფუნქციონირებს. ორივე მუნიციპალიტეტმა დაადასტურა მზაობა სტუდენტების პრაქტიკის მიღებაზე. ერთ-ერთი საბავშვო ბაღის ხელმძღვანელმაც დაადასტურა, რომ მათ დაწესებულებაში 8 სააღმზრდელო ჯგუფია და სტუდენტები განაწილებულნი არიან სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ეტაპობრივად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, გაესაუბრნენ თუ არა სტუდენტებს და რა მდგომარეობაა არაქართულენოვანი სტუდენტების ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტებთან ჩატარდა გასაუბრება, რომლის შედეგად დადგინდა, რომ ისინი გამართულად მეტყველებენ ქართულად, სწორად იგებენ კითხვებს და სანდო პასუხებს გასცემენ. ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილი დარჩა მათი ენობრივი კომპეტენციით. დარგის ექსპერტის თქმით, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი დამატებით

უზრუნველყოფს მათთვის ინდივიდუალურ მეცადინეობას. ექსპერტები ასევე, დაესწრნენ ქართულის ერთ-ერთ მეცადინეობას და აღნიშნეს, რომ მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების მიმართ დადებითი შთაბეჭდილება დარჩათ.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის შესახებ.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა კვლევები, რომელთა მიხედვითაც კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან. საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ შესაძლებლობებს, საფინანსო სერვისების სფეროში ფუნქციონირებს მრავალი ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სავაჭრო ობიექტები და სააღმზრდელო დაწესებულებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით დააზუსტა, რომ მარნეულში ფუნქციონირებს 32 ბაღი, ხოლო ბოლნისში 12. ასევე, მიმდინარეობს დამატებით 11 ბაღის მშენებლობა მარნეულში, ხოლო პოლონეთის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კიდევ 18 ბაღის მშენებლობა. რეგიონში არის 79 სოფელი მარნეულში და 86 ბოლნისში, თუმცა ამ ეტაპზე კოლეჯი მხოლოდ 3 სოფელში ახორციელებს პროფესიული პროგრამების პოპულარიზაციას. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე, წარადგინა პროგრამებზე რეგისტრაციის სტატისტიკა: აღმზრდელი: 200 ადგილი — დარეგისტრირდა 205 სტუდენტი, საექთნო: 105 ადგილი — დარეგისტრირდა 165 სტუდენტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები: 58 ადგილი — დარეგისტრირდა 90 სტუდენტი, საფინანსო სერვისები: 27 ადგილი — დარეგისტრირდა 100 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, თუ რა არის დაწესებულებისთვის მთავარი გამოწვევა და როგორ გეგმავს მისი დაძლევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მთავარი მიზანია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მთელს რეგიონში. ძირითადი გამოწვევა არის რეგიონის სიდიდე და ენის ბარიერი, რომელიც ხშირ შემთხვევაში აფერხებს მოზარდების განათლებაში ჩართვას. კოლეჯი უკვე ახორციელებს ქართული ენის სწავლების წინასწარ პროგრამებს მათთვის, ვინც რეგისტრაციამდე წინასწარ მიმართავს, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათ ენობრივ დონეს შემდგომში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი**:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ:434172584) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 14 ივნისი.

**საბჭოს სხდომა დატოვა, საბჭოს წევრმა, გიორგი ვეკუამ.**

**მესამე საკითხი:** ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2"-ის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დიახ**

**საბჭოს წევრს, გოგიტა მშვენიერაძეს ჰქონდა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2"-თან აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულს მხარეს, რის თაობაზეც გოგიტა მშვენიერაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.**

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 7**
**წინააღმდეგი - 0**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჭუჭულაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 17-21 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ "კონსტრუქტ2" - ში, ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქუჩა No31 -სა და ქ. ვალეში, სტალინის ქუჩა No 18 -ში, დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებთან. პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. დათვალიერებულ იქნა მატერიალური რესურსები. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2 -ს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოპოვებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 მაისის No116 გადაწყვეტილებით. ამჟამად კოლეჯი ახორციელებს 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ქ. ზესტაფონში, ხოლო 1 პროგრამას - ქ. ვალეში. ცენტრის მიერ დაწესებულებისათვის ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაგზავნის შემდეგ, დაწესებულებამ 2025 წლის 25 აპრილის No445901 წერილით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას ვალეს მისამართზე USAID-ის გრანტის (USAID Industry-led Skills Development Program) ფარგლებში ჰქონდა დაგეგმილი კოლეჯის ინფრასტრუქტურის მოწყობა, თუმცა, ვინაიდან აღნიშნულმა ორგანიზაციამ გრანტების დაფინანსება შეწყვიტა, საჭირო გახდა ახალი დაფინანსების წყაროს მოძიება. აღნიშნულმა გამოიწვია რიგი პროცესების შეფერხება და შესაბამისად, ქ. ვალეში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების პროცესი ვერ ესწრება გეგმით გათვალისწინებულ დროში, რადგან გამარჯვებულ კომპანიას აქვს დაუსრულებელი ხელშეკრულება და მიმდინარე ხელშეკრულების დასრულების ვადად განსაზღვრული არის 2025 წლის 17 ივნისი. ასევე, მშენებლობის დასრულების პროცესის შემდეგ ჩასატარებელია რიგი სამუშაოები, შესაბამისად, მთელი პროცესების დასრულებას დაწესებულება სავარაუდოდ შეძლებს სექტემბრისთვის. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებამ 2025 წლის 25 აპრილს No441514 ბრძანებით დაამტკიცა შესაბამისობის ახალი გეგმა და შეუსაბამობების აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 2025 წლის 20 სექტემბერი.

**საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

- **ბიზნესთან კომუნიკაცია/სტიპენდია/დასაქმება.** დაწესებულების საუკეთესო გამოცდილებად ბიზნესთან კომუნიკაცია უნდა აღინიშნოს, რაც გულისხმობს ბიზნეს დამფუძნებლის მხრიდან ადმინისტრირების, სასწავლო პროცესსა და საგანმანათლებლო სერვისების გაუმჯობესების ნაწილში ჩართულობას, დაინტერესებული პირების სოციალური მდგომარეობის მოკვლევასა და მათი საჭიროებების გათვალისწინებას პროგრამების შედგენისა და განვითარების პროცესში. მოკლევადიანი მომზადების პროგრამებზე, რომლებზეც პერმანენტულად მიმდინარეობს რეგისტრაცია და გამოწვეულია ბიზნესის მუდმივი საჭიროებით, კომპანიამ განსაკუთრებული პირობები შეიმუშავა დაინტერესებული პირებისთვის, რაც გულისხმობს სწავლის დაწყებიდან პირველი ორი თვის განმავლობაში, 600 ლარიანი სტიპენდიის ოდენობით დანიშვნას. საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი კი, დამფუძნებელი კომპანიის სამშენებლო ობიექტებზე, სამშენებლო მიმართულების პროფესიული მომზადების პროგრამების

მსმენელებისთვის ანაზღაურებადია და საერთო ჯამში შეადგენს 1800 ლარს. ამასთან, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების ყველა კურსდამთავრებულს გარანტირებული აქვს მაღალანაზღაურებადი დასაქმება ბიქეი ქონსთრაქშენში. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასა და კურსდამთავრებულების დასაქმებას ბიქეი ქონსთრაქშენი უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზეც, მათ შორის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ზემოაღნიშნულთან ერთად, 2024 წლის პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს გამარჯვებულების გამოვლენის ცერემონიაზე ა(ა)იპკოლეჯ „კონსტრუქტ2მა“ პროფესიული უნარების სააგენტოს სპეციალური ჯილდო მიიღო ნომინაციაში - „დამსაქმებლებთან და ბიზნესთან თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკა“ სს „ლიბერთისთან“ ერთად.

- **ბიტრიქსი|CRM სისტემა -** კომუნიკაციის ნაწილის გაძლიერებისა და ერთიან სისტემაში მონაცემების თავმოყრისათვის, დამფუძნებელმა კომპანიამ შეისყიდა მონაცემთა მართვის პორტალის (2024 წლამდე KOMMO CRM. 2024 წლიდან BITRIX CRM) მომსახურება, რომლსაც კონსტრუქტ2 იყენებს სტატისტიკური და ინფორმაციული მონაცემების სისტემატიზებისთვის, რაც თავის მხრივ ამარტივებს დაინტერესებული პირების ინფორმირებისა და პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესს. პორტალზე ავტომატიზებულად ხდება მონაცემების თავმოყრა და პერსონალური ვირტუალური ბარათების შექმნა, რომლებიც ფიქსირდება, როგორც ტელეფონზე შემოსული ზარებიდან, ასევე სოციალურ ქსელებში შემოსული შეტყობინებების, კომენტარების და მარკეტინგული აქტივობებისგან. ასევე, შესაძლებელია მონაცემების ხელით შეყვანა იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებულ პირებთან კონსულტირება ხდება პირისპირ და არა სხვა ალტერნატიული საკომუნიკაციო არხებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, აღნიშნული პორტალიდან ხდება სტატისტიკური მონაცემების გადმოტანა დიაგრამების სახით, საზოგადოების მხრიდან კონკრეტული სფეროების მიმართ მაღალი ინტერესის ანალიზი, რომელიც თანხვედრაშია დამსაქმებელთა საჭიროებებთან. პორტალზე მონაცემების თავმოყრის ძირითადი მიზანია მოხდეს მარკეტინგული აქტივობების ხარისხის და ეფექტიანობის განსაზღვრა და დაინტერესებული პირების (პროფესიული სტუდენტები/მსმენელების, პოტენციური დამსაქმებლების) სხვადასხვა სტატისტიკის წარმოება. პორტალზე ასახული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მქონე პირების ბარათებში შესაძლებელია კომენტარის სახით თითოეული მათგანის ინტერესების და საჭიროებების მითითება, რომელიც ეფუძნება სტუდენტური სერვისების კოორდინატორის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ტიპის გამოკითხვას. პორტალზე ხდება ინტერესების და საჭიროებების გაფილტვრა და დაჯგუფება, რაც წარმოადგენს საფუძველს შემდგომი აქტივობის დაგეგმვა/განხორციელებისთვის. კოლეჯის საქმიანობის პრაქტიკაში არსებობს კომპანიების მხრიდან თანამშრომლობის შემოთავაზების მრავალი მაგალითი, რომელთა მხრიდანაც საკომუნიკაციო არხად ხშირად გამოყენებულია, როგორც სატელეფონო, ასევე სოციალურ ქსელში შემოსული შეტყობინება. აღნიშნული მონაცემები კი, ავტომატურად გენერირდება პორტალზე, მონაცემების შემდგომი დამუშავების მიზნით. პირველადი კომუნიკაციის შემდეგ დაინტერესებული პირები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას იმ პროგრამებისა და პირობების შესახებ, რასაც პსდ სთავაზობს ნებისმიერ მსურველს. მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ, დაინტერესებული პირების მონაცემების გადატანა ხდება მომლოდინეთა სიაში ან რეგისტრაციის შემთხვევაში, რეგისტრირებულთა ბაზაში.

**სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

**IV სტანდარტი.**

**ინდიკატორი 4.1.1.1.** პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული - ქ. ვალეს ლოკაციასთან მიმართებით, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში მოიყვანოს საშტატო ნუსხა სტანდარტთან შესაბამისობაში.

**ინდიკატორი 4.1.1.2.** პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - ვალეს ლოკაციასთან მიმართებით, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში მოიყვანოს საშტატო ნუსხა სტანდარტთან შესაბამისობაში.

**ინდიკატორი 4.1.2.2**. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით - ვალეს ლოკაციასთან მიმართებით, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში მოიყვანოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები სტანდარტთან შესაბამისობაში.

**ინდიკატორი 4.1.2.3.** პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - ვალეს ლოკაციასთან მიმართებით, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში მოიყვანოს საშტატო ნუსხა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები სტანდარტთან შესაბამისობაში.

**V სტანდარტი**

**კრიტერიუმი 5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - ინდიკატორები: „დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით (5.1.1.1), „დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის (5.1.1.2)“ „დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები“ (5.1.1.3), „შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით (5.1.1.4), „დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები“ (5.1.1.5), „ დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები (5.1.1.6), „პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის (5.1.1.8), „ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა (5.1.1.9), „სათავსებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას (5.1.1.10), „მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად (5.1.1.11) - არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი ყველა ინდიკატორით შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით. შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს მისამართზე, ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის ინფრასტრუქტურის, მ.შ. ინკლუზიური გარემოს

მოწყობა და მისი აღჭურვა მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ასევე უზრუნველყოფილი იქნეს მატერიალური რესურსით და ინფრასტრუქტურით შეუზღუდავი სარგებლობის მექანიზმები, ინფრასტრუქტურის (სასწავლო-სამუშაო და დამხმარე სივრცეები, სანიტარული კვანძები), საბიბლიოთეკო, სანიტარული-ჰიგიენური და შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღნიშნული ღონისძიებების გატარება დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით.

**კრიტერიუმი 5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება - ინდიკატორები: „დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების" (5.1.2.1), „დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები" (5.1.2.2), „დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი" (5.1.2.3) და „დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას" (5.1.2.4) - არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. დაწესებულებამ უზრუნველყოს მისამართზე, ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა No18, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომებისა და წესრიგის დაცვა. ასევე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის დანერგვა-რეალიზება. აღნიშნული ღონისძიებების დაკმაყოფილება დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით.

**კომპონენტი 5.2 საინფორმაციო რესურსები**

**კრიტერიუმი 5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - ინდიკატორები: „პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს" (5.2.1.1), „პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას" (5.2.1.2) დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას (5.2.1.3), „პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას" (5.2.1.4), „პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება" (5.2.1.5), „პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით (5.2.1.6) - არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით და გაიცა რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალ, ქ. ვალეს მისამართზე IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შესაბამისობა დაწესებულების პროცესებთან. ასევე დანერგოს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, დადგენილ ვადებში აყვანილი იქნეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის, ხელმისაწვდომობის, ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმებისა და პროცედურების დანერგვა. აღნიშნული ღონისძიებების დაკმაყოფილება დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით.

II სტანდარტის შესაბამისობის რეკომენდაციები შეეხება ქ. ვალეს ლოკაციაზე „ელექტროობის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

**ინდიკატორი 2.2.1.1**. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის

მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - ქ. ვალეში შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი და გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, კოლეჯმა შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში შეასრულოს სამუშაოები და უზრუნველყოს ქ. ვალეში შენობის აღჭურვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობის“ განხორციელებისათვის.
**ინდიკატორი 2.2.1.5. -** საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - ქ. ვალეში ექსპერტთა მიერ შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი და გასცა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში შეასრულოს სამუშაოები და უზრუნველყოს ქ. ვალეში ბიბლიოთეკის მოწყობა.

**განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

**I სტანდარტი**
**ინდიკატორი 1.2.2.1** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა - პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით - პსდ-ს მიერ ანგარიშის, შესრულების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის დოკუმენტირება არ ხდება. შესაბამის ინფორმაციას არ მოიცავს არც შეხვედრის ოქმები. განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს არა მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაციის დოკუმენტირება სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ, არამედ მოახდინოს მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასება და შეფასების შესახებ დოკუმენტირებული ინფორმაციის შენახვა.

**IV სტანდარტი**
**ინდიკატორი 4.1.2.1**. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად - ინდიკატორის მოთხოვნა დაცულია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი
რეკომენდაცია, გარდა შინაგანაწესის ნორმებზე მითითებისა, პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში დამატებით აისახოს შვებულებით სარგებლობისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების პირობები.
**ინდიკატორი 4.1.2.3.** პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვა ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან მიმართებით, მათ შორის, დასაქმების, საოფისე პროგრამების ცოდნისა და აკადემიური განათლების კომპონენტში.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების, როგორც კერძო და საჯარო სექტორის ურთიერთანამშრომლობის პროდუქტის, მისიაა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საზოგადოებისთვის, სამშენებლო მიმართულებით, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდებით კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და დასაქმება, ასევე, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პოპულარიზაცია. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები, პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებითა და ეთიკის კოდექსით პროფესიული სტუდენტი

უფლებამოსილია დაიცვას კოლეჯის შიდა სამართლებრივი რეგულაციები, ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევის თვალსაზრისით. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ვადით, უზუფრუქტის ხელშეკრულებების საფუძველზე, ფლობს შენობა-ნაგებობებსა და მიწის ფართობებს, 2 მუნიციპალიტეტში: ქ. ზესტაფონსა და ქ. ვალეში. დაწესებულების მფლობელობაშია ორი შენობა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ა) ქ. ზესტაფონი, ნ. ნიკოლაძის ქ.No31 (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 32.10.39.304) სამსართულიანი შენობა საერთო ფართით 2286,7 კვ.მ და პრაქტიკული სწავლების სივრცე. დაწესებულებაში მოწყობილია: რვა აუდიტორია (ერთი ოთახის საშუალო ფართი 50 მ2), საწარმოო პრაქტიკის ორი სივრცე(ფართობი: 150 და 387 მ2), 64 ადამიანზე გათვლილი საერთო საცხოვრებელი, მ.შ. ადაპტირებული ოთახი (ფართობი 747,5 მ2). შენობაში უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის თანამედროვე ინფრასტრუქტურით. ყველა სართულზე მოწყობილია სანიტარული კვანძები, მ.შ. ადაპტირებული. ასევე გათვალისწინებული სამეურნეო ოთახები, სივრცეები დამლაგებლების. ყველა სართულზეა მოწყობილია ასევე დასვენებისა და რეკრეაციული ზონები (სკამები/სავარძლები). ამ მიზნით გამოყოფილია ასევე ცალკე სივრცე (ფართობი 102,5 მ2), სადაც განთავსებულია შესაბამისი აღჭურვილობა (პუფები, ტელევიზორი, მაგიდის ჩოგბურთი და სხვა). პსდ-ში გამოყოფილია ცალკე სივრცე შეხვედრებისთვის. მოწყობილია ბიბლიოთეკა, ასევე კაფეტერია, შესაბამისი საყოფაცხოვრებო ტექნიკით, რომლითაც სარგებლობს როგორც პერსონალი, ისე პროფესიული სტუდენტები. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის, პსდ-ს გამოყოფილი აქვს სივრცეები, როგორც ძირითად შენობაში, ისე ცალკე მდგომ ფართში (387,8 კვ.მ.). შენობის მე-3 სართულზე მოწყობილია საერთო საცხოვრებელი 64 მობინადრისთვის, მ.შ. ერთი ოთახი ადაპტირებული გარემოთი. შენობაში მოწყობილია ლიფტი. შენობაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი. დაწესებულებას აღნიშნულ მისამართზე აქვს ასევე ღია სპორტული მოედანი - ფეხბურთის კარებით, კალათბურთის ფარებითა და ფრენბურთის ბადით აღჭურვილი. კოლეჯს აქვს რეკრეაციული გარე სივრცე - მწვანე ნარგავებით განაშენიანებული ეზო. ბ) ახალციხის მუნიციპალიტეტი, ვალე, სტალინის ქუჩა N 18 (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 62.15.54.031) ფლობს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ოთხსართულიანი შენობით, რომლის სასარგებლო საერთო ფართი შეადგენს 2550 კვ.მ . შენობას გარს აკრავს მწვანე ნარგავებით განაშენიანებული ტერიტორია -კოლეჯის ეზო. ვიზიტის პერიოდისთვის მიმდინარეობდა, საპროექტო და შენობის აზომვითი ნახაზით დაგეგმილი, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის შემდეგი სივრცეების სარემონტო სამუშაოები. შენობაში ე.წ. თეთრი კარკასის მდგომარეობაში მოყვანილია შემდეგი სივრცეები:

- საკლასო ოთახები (A, B, C სასწავლო გარემო), რომლებიც განლაგებულია შენობის 3 სართულზე: თეორიული სწავლებისთვის საერთო ფართით ≈228,7 კვ.მ; პრაქტიკული მეცადინეობებისთვის - ფართით 202,5 კვ.მ; კომპიუტერული კაბინეტი - 35, 9 კვ.მ.
- საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის სხვა დამხმარე სივრცეები: პირველადი დახმარების კაბინეტი (22, 6 კვ.მ), ბიბლიოთეკა (23,3 კვ.მ), საკონფერენციო ოთახი (60, 5 კვ.მ), შეხვედრების ოთახი (32,7 კვ.მ), დაცვის ოთახი (59,1 კვ.მ), სამზარეულო (40,9კვ.მ), სამრეცხაო (29.2 კვ.მ), სასაწყობე და დამხმარე სივრცეები (სულ 3 სივრცე საერთო ფართით 106, 5 კვ.მ).
- მეოთხე სართულზე საერთო საცხოვრებელი და რეკრეაციული სივრცე ფართით 60, 5კვ. მ.
- შენობის ოთხივე სართულზე გათვალისწინებულია სანიტარული კვანძები (ქალებისთვის, მამაკაცებისთვის და ადაპტირებული),

ექსპერტის განცხადებით, თითოეულ სართულზე სანიტარული კვანძისთვის დათმობილი ფართი საშუალოდ შეადგენს 32 კვ.მ. შენობაში გამოყოფილია ადმინისტრაციული საქმიანობისთვის კაბინეტები, ასევე ფოიეში დაცვის სამსახურისთვის სამუშაო და მოსასვენებელი სივრცეები. მოწყობილია ლიფტის შახტა. ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით უკვე შეძენილია ლიფტის კაბინა, რომელიც უახლოეს პერიოდში დამონტაჟდება. პროექტით გათვალისწინებულია ასევე შენობის მიმდებარე ავტოსადგომის მოწყობა. შენობის რეკონსტრუქციის საექსპერტო დასკვნა, ადასტურებს შენობის დაპროექტება-რეკონსტრუქციის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობას. დაწესებულების მიერ, თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებულია ზესტაფონის მისამართზე „შეესაბამება“, რასაც ასევე ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფიც. პსდ-ს მიერ ვალეს მისამართი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“. პსდ-ს მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც 5.1.1. კრიტერიუმი გატანილია და განსაზღვრულია შესრულების ვადა. დოკუმენტით განსაზღვრულია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, როგორც ზესტაფონის, ისე ვალეს პერსონალი, ასევე საჭირო რესურსები (2000000 ლარი - შენობის მოწესრიგება. 500 000 $ ეკვივალენტი ლარში - აღჭურვილობის შეძენა), განსაზღვრულია შესრულების რისკის ალბათობა (10% ) და მისი გამომწვევი საფრთხეები, რაც შესაძლოა იყოს შესყიდვის პროცედურების და სამუშაოს შესრულების ვადების გადაცდომა. შესაბამისობის გეგმის თანახმად კრიტერიუმის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თანაგანმახორციელებლები არიან: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და “USAID Industry-led Skills Development Program. ვიზიტის დროს ასევე წარმოდგენილი იყო, ვალეში საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის უკვე შეძენილი მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტები და მიღება-ჩაბარების აქტები. ვიზუალურად გადამოწმდა ასევე ზესტაფონში ტერიტორიაზე დასაწყობებული რესურსები. პსდ-ს მფლობელობაში არსებული სივრცე უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ოთახები აღჭურვილია ასევე სეზონური რეჟიმის (ზამთარი/ზაფხული) კონდიციონერებით. გათბობის სისტემა და მისი ფუნქციონირება დასტურდება როგორც ფაქტობრივი გარემოებით, ისე კომუნალური გადახდის ქვითრებით. ზესტაფონის მისამართზე, პსდ-ს მიერ გამოყოფილია 2 საშტატო ერთეული (დამხმარე პერსონალი), რომელთა მოვალეობაშიც შედის გათბობის, განათების, სავენტილაციო და კონდიცირების, კანალიზაციის სისტემების, სველი წერტილების გამართულობის მუდმივი კონტროლი და ტექნიკური მომსახურება. პერსონალის მოვალეობაში შედის ასევე ბუნებრივი რესურსების (აირი, წყალი) და ელ ენერგიის ეკონომიური ხარჯვის კონტროლი და უზრუნველყოფა. რაც შეეხება ვალეს მისამართზე შენობა-ნაგებობას, ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ შენობის რეაბილიტაციის პროექტის თანახმად, მოწყობილია ცენტრალური გათბობის სისტემის ქსელი, მიმდინარე ეტაპზე, შენობის შიდა მთელ პერიმეტრზე მოწყობილია გათბობის რადიატორების სამონტაჟო წერტილები. გამოყოფილია

საქვაბისთვის სივრცე. სარემონტო სამუშაოების შემდეგ სრულად იქნება მოწყობილი ცენტრალური გათბობის სისტემა ვალეს მისამართზეც. უზრუნველყოფილი იქნება მომსახურე პერსონალიც. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამინისტროს და სამეთვალყურეო საბჭოს დასტური, აღნიშნულ მისამართზე ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით საშტატო ერთეულისა და მისი თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურებისთვის დამატებითი ფინანსური რესურსის გამოყოფის შესახებ (სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ოქმი#3, 19.07.2024). დაწესებულების მიერ, თვითშეფასების ანგარიშებში დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებულია ზესტაფონის მისამართზე „შეესაბამება“, რასაც ასევე ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფიც. წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ხოლო, პსდ-ს მიერ ვალეს მისამართი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები დაწესებულების მიერ, თვითშეფასების ანგარიშებში დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებულია ზესტაფონის მისამართზე „შეესაბამება“, რასაც ასევე ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფიც. წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. ხოლო, პსდ-ს მიერ ვალეს მისამართი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“. პსდ-ს მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც 5.1.1. კრიტერიუმი გატანილია და განსაზღვრულია შესრულების ვადა. დოკუმენტით განსაზღვრულია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, როგორც ზესტაფონის, ისე ვალეს პერსონალი, ასევე საჭირო რესურსები. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები დაწესებულების მიერ, თვითშეფასების ანგარიშებში დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებულია ზესტაფონის მისამართზე „შეესაბამება“, რასაც ასევე ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფიც. წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. ხოლო, პსდ-ს მიერ ვალეს მისამართი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“. პსდ-ს მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც 5.1.1. კრიტერიუმი გატანილია შესრულების ვადა. დოკუმენტით განსაზღვრულია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, როგორც ზესტაფონის, ისე ვალეს პერსონალი, ასევე საჭირო რესურსები. განსაზღვრულია შესრულების რისკის ალბათობა (10% ) და მისი გამომწვევი საფრთხეები, რაც შესაძლოა იყოს შესყიდვის პროცედურების და სამუშაოს შესრულების ვადების გადაცდომა. წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა მეტწილი შესაბამისობით და გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია: პსდ-მ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება გეგმით დადგენილ ვადებში. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა - დაწესებულების მიერ, თვითშეფასების ანგარიშებში დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებულია ზესტაფონის მისამართზე „შეესაბამება“, რასაც ასევე ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფიც. წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, ქ. ზესტაფონის მისამართზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიკური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების

შესაძლებლობა. პსდ-ს მიერ ვალეს მისამართი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“. პსდ-ს მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც 5.1.1. კრიტერიუმი გატანილია და განსაზღვრულია შესრულების ვადა. დოკუმენტით განსაზღვრულია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, როგორც ზესტაფონის, ისე ვალეს პერსონალი, ასევე საჭირო რესურსები. წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა მეტწილი შესაბამისობით და გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია: პსდ-მ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება გეგმით დადგენილ ვადებში.

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს - დაწესებულების მიერ, თვითშეფასების ანგარიშებში დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებულია ზესტაფონის მისამართზე „შეესაბამება“, რასაც ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი. წარმოდგენილი დოკუმენტების, პერსონალთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. პსდ-ს მიერ ვალეს მისამართი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“. პსდ-ს მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც 5.2.1. კრიტერიუმი გატანილია და განსაზღვრულია შესრულების ვადა. დოკუმენტით განსაზღვრულია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, როგორც ზესტაფონის, ისე ვალეს პერსონალი, ასევე საჭირო რესურსები. განსაზღვრულია შესრულების რისკის ალბათობა (10%) და მისი გამომწვევი საფრთხეები, რაც შესაძლოა იყოს შესყიდვის პროცედურების და სამუშაოს შესრულების ვადების გადაცდომა. შესაბამისობის გეგმის თანახმად კრიტერიუმის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თანაგანმახორციელებლები არიან: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და “USAID Industry-led Skills Development Program. ვიზიტის დროს ასევე წარმოდგენილი იყო, ვალეში საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის უკვე შეძენილი მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტები და მიღება-ჩაბარების აქტები. ვიზუალურად გადამოწმდა ასევე ზესტაფონში ტერიტორიაზე დასაწყობებული რესურსები. წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა მეტწილი შესაბამისობით და გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია: პსდ-მ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება გეგმით დადგენილ ვადებში. სდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. საოპერაციო ხარჯების დაფინანსება, პსდ-ს მენეჯმენტის განმარტებით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში მიღებული რესურსებით. პსდ-ს ხარჯები მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური გადასახადების, ისე მომსახურების, შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების ფინანსური დოკუმენტაცია, კომუნალური გადასახადების გადარიცხვების, სხვადასხვა მომსახურების, ინვენტარის შესყიდვის და სხვა საოპერაციო ხარჯების შესახებ. ასევე საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო რესურსების მოთხოვნა-მიწოდების დამდასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. ექსპერტთა მიერ განხილული იქნა პსდ-ს მიერ წარმოდგენილი წინა წლების კოლეჯის დაფინანსების, ხარჯებისა და შემოსავლების დინამიკა, შემოსავლის წყაროები. გასული წლის ფინანსური შედეგების გაანალიზებით, დაწესებულება აანალიზებს და

ითვალისწინებს არსებულ ნაკლოვანებებს და განსაზღვრავს ფინანსური შედეგების გაუმჯობესების მექანიზმებს. სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშები, დაინტერესებული მხარეებისთვის, გამოქვეყნებულია ვებგვერდზე. წარმოდგენილი დოკუმენტის და პერსონალთან გასაუბრებისა საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის
სტანდარტებთან - დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“**

ექსპერტის განცხადებით, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქი ზესტაფონში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A B და C გარემო - ფართი 46.6 მ 2 , პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა აუდიტორიაში არის 25, მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 40, თუმცა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს გარემოს ორ ცვლაში გამოყენება, რაც მის დატვირთვას ზრდის 80 საათამდე. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 20 X 2 = 40 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში. აუდიტორია აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტებისთვის 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ავტორიზაციის ვადით შემდეგ პარტნიორებთან პრაქტიკის კომპონენტის გავლის პირობით: შპს „ბკ კონსთრაქშენი“ ; შპს “გეოდი+სს“. უნდა შევნიშნოთ, რომ პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის განხორციელებას, თუმცა მოდულის: გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში ხდება ვიზიტი პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით. პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად სრულიად საკმარისია კოლეჯის მიერ შეძენილი აღჭურვილობის ხარისხი, ტექნიკური პარამეტრები და რაოდენობა. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება ღია საველე გარემოში. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების გარემოსა და მატერიალური რესურსების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამაზე 40 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობით ორ ცვლაში. აღნიშნული პროგრამა მიმდინარეა, მასზე არის ჩარიცხული სტუდენტები და ჰყავს კურსდამთავრებულები, შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკული კომპონენტისა და თეორიული სწავლების ხარისხიანი გავლის შესახებ ინფორმაცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 20 მასწავლებელი, აქედან 13 განახორციელებს ზოგად, ხოლო 7 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათი. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის,

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ დაწესებულების სამკითხველო დარბაზში. , სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“**

ექსპერტის განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქი ზესტაფონში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A გარემო - ფართი 46.6კვ.მ, A და C გარემო - ფართი 47.5 კვ.მ და B გარემო - ფართი 48.9 კვ.მ. თითოეული გარემო გათვალისწინებულია 25-25 პროფესიული სტუდენტისთვის, შესაძლებელია მათი 2 ცვლად დატვირთვა, შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მოდულებში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა გადანაწილდება შემდეგი პროცენტულობით: დატვირთვა A გარემოში - 69.33% (2600 საათი); დატვირთვა C გარემოში - 15.33% (575 საათი), დატვირთვა კომპანიაში - 13.33% (500 საათი) და დატვირთვა B გარემოში - 2% (75 საათი). აუდიტორიები აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები. B გარემოები, რომლებიც დაკომპლექტებულია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით და A და C გარემო პროფესიული სტუდენტისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას შეძენილი აქვს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობა, მანეკენები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, კომპლექტები შრომის უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის, ხანძარსაქრობი სასწავლო სისტემა - ციფრული ხანძარსაქრობი, ხელსაწყოები და აპარატურა და სხვ. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ავტორიზაციის ვადით შემდეგ პარტნიორებთან ერთდროულად 20-20 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტის გავლის პირობით: შპს „ბკ კონსთრაქშენი“ ; კომპანია COS - Concept Of Safety; შპს „ფერომედი”. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელდება მოდული „საწარმოო პრაქტიკა - 20 კრედიტის მოცულობით, დაწესებულების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენებით უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს კოორდინაცია

გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, რისთვისაც მზადაა გამოყოს ინსტრუქტორ(ებ)ი/კოორდინატორები/განმახორციელებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას და მხარდაჭერას. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სულ 2 წლიან პროგრამაზე 80 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობით. ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 18 მასწავლებელი, აქედან 10 განახორციელებს ზოგად, ხოლო 8 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტროობა“ (ქ. ზესტაფონის ლოკაცია)**

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, (მუხლი 7), რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის №167327 ბრძანებით, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B და C (საჭიროების შემთხვევაში) სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურის რაოდენობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, მეთოდოლოგია ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ პროფესიულმა პროგრამამ შესაძლებელია იმუშაოს ორ ცვლაში. „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქ ზესტაფონსა და ქალაქ ვალეში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A B და C გარემო ქალაქ ზესტაფონში, პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა აუდიტორიაში არის 20, მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 40, თუმცა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს გარემოს ორ ცვლაში გამოყენება, რაც მის დატვირთვას ზრდის 80 საათამდე. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 20X2=40 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში. აუდიტორია აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტებისთვის - 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. C გარემოში განთავსებულია აღჭურვილობა შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლებით, კოლეჯს შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ელექტროობა“ აღჭურვილობის ჩამონათვალი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის (ლაბორატორიული ავტოტრანსფორმატორი, ლაბორატორიული რეოსტატი, მეგომეტრი,

ომმეტრი. ფაზომეტრი და სხვა). ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა აღნიშნული რესურსების ფლობა. დაწესებულებამ წარმოადგინა მათი შესყიდვის დოკუმენტური მტკიცებულებაც შესყიდვის ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარებების სახით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობის“ ფარგლებში გათვალისწინებულია მოდული „გაცნობითი პრაქტიკა“, რომლის ფარგლებში იგეგმება სასწავლო ექსკურსიები პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც პროფესიული სტუდენტი გაეცნობა მომავალი პროფესიის სამუშაო გარემოსა და სპეციფიკას. სტუდენტისთვის გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში სასწავლო ექსკურსია/ექსკურსიების უზრუნველყოფა განხორციელდება კოლეჯის დამფუძნებელი კომპანიის „ბკ ქონსტრაქშენისა“ და სს „ენერგო პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ ობიექტებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების გარემოსა და მატერიალური რესურსების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამაზე 40 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობით ორ ცვლაში. აღნიშნული პროგრამა მიმდინარეა, მასზე არის ჩარიცხული სტუდენტები და ჰყავს კურსდამთავრებულები, შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკული კომპონენტისა და თეორიული სწავლების ხარისხიანი გავლის შესახებ ინფორმაცია. დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად, ქალაქ ზესტაფონის ლოკაციაზე ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ექსპერტის განცხადებით, ზესტაფონის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობის“ განსახორციელებლად დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 16 მასწავლებელი, აქედან 9 განახორციელებს ზოგად, ხოლო 7 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ქ. ზესტაფონში ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა. ინდიკატორი 2.2.1.5. ექსპერტთა მიერ შეფასებულია, როგორც შესაბამისი. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეკრულება:· შპს „ბკ კონსთრაქშენი“, სს „ენერგო პრო ჯორჯია ჰოლდინგი“ 20-20 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად მიღებისთვის მოდულისთვის ,,გაცნობითი პრაქტიკა“ ავტორიზაციის ვადით, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია. აღნიშნულით დასტურდება კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. ინდიკატორი 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტროობა“ (ქ. ვალეს ლოკაცია)**

ექსპერტის განცხადებით, „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქ ვალეში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის

სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A B და C გარემო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობის" განხორციელების მისამართია: ქ. ვალე სტალინი 18 პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი იქნება რამდენიმე გარემო. ერთი დარგობრივი ინტეგრირებული AC გარემო, რომელიც აღჭურვილი იქნება პროფესიული დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული ინვენტარით და A გარემოსათვის საჭირო მერხებით და სკამებით, მასწავლებლისთვის კომპიუტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, სამუშაო ადგილებით პროფესიული სტუდენტებისთვის და B გარემო, სადაც განხორციელდება დარგობრივი მოდულები „საინჟინრო ხაზვა" და ზოგადი მოდულისათვის „ინფორმაციული წიგნიერება1" , ასევე სხვა მოდულების გარკვეული კომპონენტები (აღნიშნული ინვენტარი განთავსებულია ზესტაფონში, დათვალიერებული და აღრიცხული იქნა ექსპერტთა მიერ). ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის შენობა-ნაგებობა, ასევე პროგრამისათვის „ელექტროობა" განკუთვნილი აუდიტორიები. სარემონტო სამუშაოები ჯერ არ არის დასრულებული, შესაბამისად აუდიტორიები არ არის აღჭურვილი და ინვენტარი განთავსებულია ზესტაფონში. დაწესებულებას თვითშეფასებაში აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს, როგორც შესაბამისი, ვინაიდან ჰქონდა მოლოდინი, რომ ექსპერტთა ვიზიტის განხორციელებამდე დასრულდებოდა შენობის რემონტი და აღჭურვა, თუმცა რთული კლიმატური პირობების გამო სამუშაოები შეფერხდა, ამდენად, ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა კორექტირებული შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორი შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1. მთლიანობაში ექსპერტთა მიერ შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობის" განსახორციელებლად დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 11 მასწავლებელი, აქედან 9 განახორციელებს ზოგად, ხოლო 2 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ. ფინანსური ბიუჯეტი მოიცავს: პროგრამის ბიუჯეტი, შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას; პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში - ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული დაფინანსება, ხარჯებში - მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯები, ადმინისტრირების ხარჯი, კომუნალური ხარჯი, პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები. აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 14 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია და და დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ა სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის ფარგლებში მოდულის გაცნობითი პრაქტიკის განხორციელების მიზნით დაწესებულებას პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეკრულება:· შპს „ბკ კონსთრაქშენი", სს „ენერგო პრო ჯორჯია ჰოლდინგი" 20-20 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად მიღებისთვის მოდულისთვის ,,გაცნობითი პრაქტიკა" ავტორიზაციის ვადით, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, რომელშიც

განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია. აღნიშნულით დასტურდება კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. ინდიკატორი 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“**

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხორციელდება ქალაქ ზესტაფონში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია 3 A/B/C გარემო, პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა აუდიტორიაში არის 30, მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 40, თუმცა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს გარემოს ორ ცვლაში გამოყენება, რაც მის დატვირთვას ზრდის 80 საათამდე. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 60. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების გაცნობითი პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 8 წლის ვადით შპს „ქუთაისის უნივერსიტეტთან“. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების გარემოსა და მატერიალური რესურსების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამაზე 60 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობით ორ ცვლაში. აღნიშნული პროგრამა მიმდინარეა, მასზე არიან ჩარიცხული სტუდენტები და ჰყავს კურსდამთავრებულები, შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკული კომპონენტისა და თეორიული სწავლების ხარისხიანი გავლის შესახებ ინფორმაცია. დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 17 მასწავლებელი, აქედან 14 განახორციელებს ზოგად და ინტეგრირებულ მოდულებს, ხოლო 3 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია,საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამის ფარგლებში მოდულის გაცნობითი პრაქტიკის განხორციელების მიზნით დაწესებულებას პარტნიორ ორგანიზაციასთან, შპს „ქუთაისის უნივერსიტეტთან “თანამშრომლობის ხელშეკრულება 8 წლის ვადით. აღნიშნულით დასტურდება კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ

პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. ინდიკატორი 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, მიმართა ექსპერტს კითხვით, ვალეს შენობის სამართლებრივი და დოკუმენტური სტატუსის შესახებ, ის დაინტერესდა მოქმედებდა, თუ არა ზესტაფონის კოლეჯისთვის დამახასიათებელი დოკუმენტაცია ვალეს ობიექტზეც.

ექსპერტთა ჯგუფის განმარტებით, ადმინისტრაციული დოკუმენტაცია ვალეს ობიექტისთვის ამ ეტაპზე იდენტურია ზესტაფონისა. ადმინისტრაციული შტატები ჯერჯერობით გაზიარებულია, რადგან ახალ შტატზე დამტკიცება ჯერ არ მომხდარა ზედამხედველობითი საბჭოს მიერ. მომზადებულია შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს საშტატო კომპლექტაციის გეგმასაც.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა მონიტორინგის დროს ვალეს ობიექტი წარმოდგენილი იყო, როგორც შავი კარკასი. ამჯერად ფოტომასალიდან ჩანს, რომ ობიექტის მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია, თუმცა სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები კვლავ არ არის დასრულებული. შესაბამისობის გეგმის მიხედვით მოცემულია სამუშაოების ეტაპები და განსაზღვრულია ვადები. წინა ავტორიზაციის პროცესში ვალეს ობიექტზე დაგეგმილი იყო ელექტროობის საგანმანათლებლო პროგრამისთვის 40 სტუდენტის მიღება, თუმცა ფაქტობრივად მხოლოდ 6 სტუდენტი ჩაირიცხა, რომელთაც ამ ეტაპზე სტატუსი შეჩერებული აქვთ და არც მობილობით გადასულან სხვა დაწესებულებაში. ეს სტუდენტები კვლავ კოლეჯის ფუნქციონირების დაწყებას ელოდებიან. მისი თქმით, წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში არ ჩანს მკაფიოდ, არის თუ არა პროექტის სრული დაფინანსება უზრუნველყოფილი. ანუ, უზრუნველყოფილია თუ არა ფინანსური მხარდაჭერა თავიდან ბოლომდე, თუ არსებობს რისკი, რომ პროექტი ნაწილობრივ განხორციელდეს და შემდგომ შეჩერდეს, როგორც ეს ადრე USAID-ის პროგრამის შემთხვევაში მოხდა. საბჭოს თავმჯდომარეს აინტერესებს, არსებობს თუ არა გარანტიები, რომ ობიექტის რეაბილიტაცია და პროცესების დასრულება განხორციელდება იმ ვადებში, რაც შესაბამისობის გეგმაშია განსაზღვრული. და ბოლოს, თუ აღნიშნული ვადები დაირღვევა და პროექტი ვერ დასრულდება მითითებულ ვადაში, რას გეგმავს დაწესებულება მსგავს შემთხვევაში და როგორია მათი შემდგომი ქმედებების გეგმა ან ალტერნატიული ნაბიჯები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტა ვალეს ობიექტის რეაბილიტაციისა და პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, რომ ვალეს ობიექტის შემთხვევაში რამდენიმე ფაქტორი ერთმანეთს დაემთხვა, რამაც პროექტის დაგვიანება გამოიწვია. თავდაპირველად, არსებობდა მოლოდინი, რომ USAID-თან თანამშრომლობა გაგრძელდებოდა, რის გამოც გარკვეული პერიოდი მოლოდინის რეჟიმში ვიყავით. საბოლოოდ, აღნიშნულმა ორგანიზაციამ შეწყვიტა აქტიური ფუნქციონირება პროექტის ფარგლებში, რაც დამატებითი სირთულე იყო კოლეჯისთვის. მიუხედავად ამისა, დაწესებულებისთვის პოზიტიური აღმოჩნდა ის, რომ მანამდე USAID-ის მიერ მნიშვნელოვანი თანხობრივი რესურსი უკვე იყო გამოყოფილი, რაც საშუალებას გვაძლევდა დაგვეწყო პროექტის ოპტიმიზაცია. ამ ეტაპზე აღჭურვილობის დაახლოებით 90% უკვე შეძენილია და უზრუნველყოფილია ყველა ძირითადი საშუალება, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაწყებად. რაც შეეხება შენობის რეაბილიტაციას, მისი სრული ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხრიდან. აღჭურვილობის ნაწილის დაფინანსება კვლავ USAID-ის ფარგლებში რჩება. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადი რესურსები უკვე მობილიზებულია სახელმწიფოს მიერ. მისი თქმით, რეაბილიტაციის პროცესში გარკვეული დაგვიანება გამოიწვია კოლეჯის ა(ა)იპ სტატუსით მოქმედების სპეციფიკამ – კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნებმა, რომლებიც დაკავშირებულია ტენდერების გატარებასთან. აღნიშნულმა პროცედურებმა დამატებითი დრო მოითხოვა. ამჟამად, შენობის დასრულების მიზნით გაფორმებულია ბოლო ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს უსაფრთხოების და საინჟინრო სისტემების სრულ ინსტალაციას სტანდარტებთან სრული შესაბამისობისთვის. აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების ვადა განსაზღვრულია 2025 წლის 17 ივნისამდე. დაწესებულების ვარაუდით, სამუშაოები სრულად დასრულდება ივნისის ბოლოსთვის. მისი თქმით, დასრულების შემდეგ დაგეგმილია ადმინისტრაციული შტატების დამტკიცება, რაც უკვე შეთანხმებულია სამინისტროსთან, რის შემდეგაც დაიწყება პერსონალის დაკომპლექტება. ამას მოჰყვება სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება. ამიტომაც შესაბამისობის გეგმაში მითითებულია, რომ 2025 წლის სექტემბრის ბოლოსთვის კოლეჯი სრულად მზად იქნება, რათა განხორციელდეს მონიტორინგი. პროექტის ფინანსური მხარე მდგრადად უზრუნველყოფილია.

**საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.**

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ ვალეს ობიექტი ამ ეტაპზე ვერ აკმაყოფილებს პროფესიული განათლების სტანდარტით დადგენილ ინფრასტრუქტურულ მოთხოვნებს და არ შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციურ სასწავლო სივრცედ, მაგრამ წარმოდგენილია დეტალური შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს ვადებსა და ფინანსურ უზრუნველყოფას, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩაინიშნოს მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც შეფასდება: ინფრასტრუქტურის შესაბამისობა (ფაქტობრივი დათვალიერებით), მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარისხი და ადამიანური რესურსების, სტრუქტურის და საშტატო კომპლექტაციის შესრულება. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე საბჭო იმსჯელებს ვალეს ობიექტის სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობაზე ან მის ამოღებაზე ავტორიზაციიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2"-ის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი**:
მომხრე:7
წინააღმდეგი : 0
**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯს „კონსტრუქტ2" (ს/კ:430035874) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯს

„კონსტრუქტ2“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 28 მაისი.

**საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“- ში, ქ. ვალეს ლოკაციაზე 4.1, 5.1, 5.2 კომპონენტებში და ქ. ვალეს ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 20 ოქტომბერი.**

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 17:30 საათზე.**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

**დანართი 1**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ბათუმი, ალ გრიბოედოვის 67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საფინანსო სერვისები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0412 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ბათუმი, ალ გრიბოედოვის 67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 24 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ფარმაცია (სააფთიაქო) |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0916 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ბათუმი, ალ გრიბოედოვის 67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 123 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 153 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აღმზრდელი |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ბათუმი, ალ გრიბოედოვის 67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საექთნო განათლება |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0913 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ბათუმი, ალ გრიბოედოვის 67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 60 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 210 |

**დანართი 2**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აღმზრდელი |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 405 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საექთნო განათლება |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0913 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 265 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 210 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ინფორმაციის ტექნოლოგია |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 120 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 61 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 76 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საფინანსო სერვისები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0412 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 110 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

**დანართი 3**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0731 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზესტაფონი ნიკო ნიკოლაძის ქუჩა N 31 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0712 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზესტაფონი ნიკო ნიკოლაძის ქუჩა N 31 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 80 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზესტაფონი ნიკო ნიკოლაძის ქუჩა N 31 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ვალე სტალინის ქ. N18 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზესტაფონი ნიკო ნიკოლაძის ქუჩა N31 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 60 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 117 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 87 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 147 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 117 |

**ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზესტაფონი ნიკო ნიკოლაძის ქუჩა N31 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | - |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 45 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |